



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 10/38

2023 წლის 30 აქვისი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

**მუხლი 1.**

შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულების №5 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეზურავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის“ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

N	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარებში)
1	დირექტორი	3080-00
2	დირექტორის მოადგილე	2420-00
3	განყოფილების უფროსი	1760-00
4	მთავარი ბუღალტერი	1500-00
5	ბუღალტერი	1300-00
6	ადმინისტრატორი	1300-00
7	მწვრთნელი	2000-00
8	მამველი-ინსტრუქტორი	990-00
9	სპორტული მენეჯერი	1500-00
10	დაცვის უფროსი სპეციალისტი	1210-00
11	უფროსი ტექნიკოსი	1320-00
12	ტექნიკოსი	1000-00
13	საფილტრაციოს უფროსი ოპერატორი	1300-00
14	ფიტნეს-ინსტრუქტორი	1100-00
15	საწყობის უფროსი	1400-00
16	ტექნიკოს-გაზოოპერატორი	1300-00
17	უფროსი მოლარე ოპერატორი	1400-00

18	მატერიალურ -ტექნიკური მომარაგების სპეციალისტი	1000-00
19	მანდატური	1000-00
20	მოლარე-ოპერატორი	1000-00
21	საფილტრაციოს ოპერატორი	1000-00
22	ექიმი	1210-00
23	მეუზოვე	990-00
24	დაცვის სპეციალისტი	825-00
25	ძიძა	900-00
26	უფროსი დამლაგებელი	800-00
27	მრეცხავ-დამლაგებელი	750-00
28	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1200.00
29	შესყიდვების სპეციალისტი	1200.00